“დინამო” ჩეხოსლოვაკიაში

თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფება ჩეხოსლოვაკიაში. ქართველ სპორტსმენებს პირველი მატჩი ჰქონდათ 23 სექტემბერს, პრაღაში, ადგილობრივ “დინამოსთან”. მატჩმა, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მრავალრიცხოვან სპორტის მოყვარულთა ინტერესი გამოიწვია, ჩატარდა გულითად, მეგობრულ ვითარებაში.

შეხვედრის დასაწყისიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელმა ფეხბურთელებმა და მთელი 90 წუთის განმავლობაში შეუნელებლად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. მატჩში, რომელიც თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:1 დამთავრდა, 2–2 ბურთის ავტორები არიან ა. ღოღობერიძე და ზ. კალოევი, თითო ბურთი გაიტანეს თ. მელაშვილმა და კ. გაგნიძემ.

თბილისელები ჩეხოსლოვაკიაში მორიგ მატჩს გამართავენ დღეს, 27 სექტემბერს ქალაქ კეზლში, ხოლო 30 სექტემბერს ითამაშებენ გოტვალდოვოში.

27 სექტემბერი, 1959 წ.